# თავისუფალი საქართველო

№25

9 - 15 ივლისი 1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


# SOS! ხვიჩა ჯოხაძის სიცოცხლე საფრთხეშია

## დამოუკიდებელმა მედიკოსებმა გამოთქვეს გაოცება, რომ ასეთი მძიმე ავადმყოფი ჯერ კიდევ ცოცხალია

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ე.წ. "ყვარლის საქმეზე" განსჯილი პოლიტპატიმრის, ხვიჩა ჯოხაძის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრება. მწვავე ორმხრივი ტუბერკულოზით დაავადებული პოლიტპატიმარი, რომელიც ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან ქსნის სპეცკოლონიაში იქნა გადაყვანილი, ამჟამად უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება. დაავადებამ უკიდურეს სტადიას მიაღწია: ნახველი ჩირქოვანია, ხოლო ფილტვების რენდგენოგრამის შესწავლის შემდეგ დამოუკიდებელმა მედიკოსებმა გაოცება გამოთქვეს იმის გამო, რომ ასეთი მძიმე ავადმყოფი ჯერ კიდევ ცოცხალია. ისინი მიიჩნევენ, რომ საჭიროა პატიმრის დაუყოვნებლივ გადმოყვანა საავადმყოფოში და სასწრაფო ოპერაციის გაკეთება, ხოლო შემდგომ მისი გათავისუფლება და სპეციალური სამედიცინო მკურნალობა, ვინაიდან ტუბერკულოზის ასეთი მძიმე ფორმით დაავადებული ადამიანი ვერ გაუძლებს იძულებითი იზოლაციის პირობებს.

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ტუბერკულოზი საყოველთაოდ მოდებული სენია პატიმართა და, საკუთრივ, პოლიტპატიმართა შორის, მრავალი მათგანი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება. ამჟამად, ხვიჩა ჯოხაძის გარდა, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან პოლიტპატიმრები: დავით კაჭარავა, რომელიც დახურულ ციხეში, ე.წ. "კრიტში" მოთავსებული და ქსნის კოლონიაში მყოფი გელა გაჩეჩილაძე.

# მოქალაქეთა კავშირს არც ლებედი აფრთხობს, არც როდიონოვი

რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, მეორე ვადით დააკანონა არსებული ხელისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ ბ. ელცინმა მთლად დამაჯერებელი გამარჯვება ვერ მოიპოვა (მას ხმა მისცა ამომრჩეველთა 53-მა პროცენტმა), "დემოკრატიული" სამყარო მაინც აღტაცებით შეხვდა მის ხელმეორედ გაპრეზიდენტებას. ბ. კლინტონმა ამას "დემოკრატიის ტრიუმფი" უწოდა... ძნელი სათქმელია, რამდენად შეესაბამება არჩევნების შედეგების ამსახველი ციფრობრივი მონაცემები ტრიუმფის ნორმებს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ აღნიშნული ეიფორია დიდხანს ვერ გასტანს და სულ მალე ახალი ძალითა და სიმწვავით წამოტივტივდება ყველა ის დროებით უკანა პლანზე გადასული პრობლემა, რომელიც რუსეთის "დემოკრატიული" ხელისუფლების წყალობით შეიქმნა თავის დროზე ქვეყანაში...

რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებმა კიდევ უფრო პირობითი გახადა ხელისუფლების მიმართ გამოყენებული ეპითეტები: "დემოკრატიული", "პროგრესული", "რეფორმისტული"... პირველი ტურის შემდეგ ა. ლებედის მოულოდნელმა აღზევებამ იმთავითვე სერიოზული (არა პირველი) დარტყმა მიაყენა ბ. ელცინის დემოკრატიულ იმიჯს. დღეს უკვე აშკარაა, რომ რუსეთის შემდგომი პოლიტიკური კურსის შემუშავებაში "დემოკრატიული" რუსეთის წარმომადგენლებს სულ უფრო ნაკლები როლი და მნიშვნელობა ექნებათ.

რუსეთის პრეზიდენტს გაუჭირდება, ანგარიში არ გაუწიოს "რეაქციულ" რუსეთს - მის "ოპოზიციას", რომელიც რიცხობრივად ბევრად არ ჩამორჩება "დემოკრატი" პრეზიდენტის მხარდამჭერებს. გარდა ამისა, ბუნებრივია, ელცინს მოსთხოვენ მეორე ტურის წინ დანარჩენი კანდიდატებისგან ჩამოთხოვილი ხმებით მოპოვებული გამარჯვების შემდეგ თამასუქების განაღდებას. აქ კი ძალზედ დიდი სიჭრელე და შეუსაბამობაა. ბორის ელცინი მეორე ტურში, ა. ლებედის გარდა, დემოკრატ იავლინსკისა და უპირველეს ლიბერალ-დემოკრატ ჟირინოვსკისაც დაესესხა ხმებს. ალბათ, იმ ვარაუდით, რომ მათთვისაც გამოიძებნებოდა ადგილები ახალ ხელისუფლებაში.

დღესდღეობით რუსეთში სწორედ ხელისუფლების საკითხია ყველაზე აქტუალური. ბ. ელცინმა პირველი დემოკრატიული ჟესტი უკვე გააკეთა - მან ოპოზიციასთან თანამშრომლობისა და გარკვეულ კომპრომისებზე წასვლისთვის მზადყოფნა გამოაცხადა: "ხელისუფლების სტრუქტურებში ყველას უნდა ჰქონდეს ადგილი, ვინც ხალხის ნდობა მოიპოვა" - თქვა მან და ვ. ჩერნომირდინს დაავალა ახალი მთავრობის ფორმირება. ეს თავისთავად დემოკრატიული ქმედება განაპირობებს იმას, რომ რუსეთის ახალ ხელისუფლებაში დემოკრატიული გზით მოვლენ რეაქციული ძალები. ამას გულისხმობს ახალი პრეზიდენტის ოპოზიციასთან თანამშრომლობის კურსი. ერთადერთი, ვინც, შესაძლოა, ხელისუფლების გარეთ დარჩეს, გრ. იავლინსკია. მიუხედავად იმისა, რომ მისი და ბ. ელცინის წინასაარჩევნო ვაჭრობა გარეგნულად "ურთიერთგაგების" ატმოსფეროში მიმდინარეობდა, დღეს მათ შორის აშკარა გაუგებრობამ დაისადგურა. ვ. ჩერნომირდინმა და ა. ჩუბაისმა კი, რამდენიმე დღის წინ პირდაპირ განაცხადეს, - იავლინსკის ადგილი ახალ ხელისუფლებაში აღარ იქნებაო. მისთვის დაპირებულ ადგილს, ალბათ, რუსეთის პრეზიდენტის ახალი მოკავშირე დაიჭერს. დიდია ალბათობა იმისა, რომ იგი სწორედ რეაქციული ფრთის წარმომადგენელი იქნება.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების დემოკრატიული ძალები, მიუხედავად იმისა, რომ კმაყოფილებას გამოხატავენ რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების მიმართ, მაინც შეშფოთებულნი არიან მოვლენათა შესაძლო განვითარებით. მათ, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად მრისხანე გენერლის - ლებედის ფაქტორი აღელვებთ. გაზეთი "ვაშინგტონ პოსტი" წერს, რომ ალ. ლებედი თავის ბოლოდროინდელ გამოსვლებში სრულ იგნორირებას უკეთებს ელცინს. ელცინისა და ლებედის ბანაკებს შორის დაპირისპირება იზრდება. თავის მხრივ, ეს გვაფიქრებინებს, რომ რეალური ბრძოლა ხელისუფლებისთვის სწორედ არჩევნების შემდეგ გაიმართება.

წინასაარჩევნო პერიოდში პრეზიდენტობის კანდიდატთა ერთ-ერთი სააგიტაციო თემა ჩეჩნეთის კონფლიქტის მოგვარება იყო. სამშვიდობო მოლაპარაკებების ეტაპი, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა წამოიწყო და რომელიც ელცინის წინასაარჩევნო პროპაგანდის ნაწილად იქცა, როგორც ჩანს, დასრულდა - საპრეზიდენტო არჩევნების დამთავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ რუსეთის ფედერალური ჯარების სარდალმა ტიხომიროვმა განაცხადა ჩეჩნეთში სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედების დაწყების აუცილებლობის შესახებ.

რუსეთის პოზიცია ძველებურად "რეაქციული" რჩება ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოებასთან დაკავშირებით. არჩევნების დასრულების შემდეგ ბ. ელცინმა ასევე განაცხადა, რომ ბალტიის ქვეყნების შეყვანას ნატო-ს შემადგენლობაში რუსეთი აღიქვამს როგორც მის საწინააღმდეგოდ მიმართულ ღონისძიებას.

ამგვარი მკვეთრი გამონათქვამები მსოფლიოს ცნობილ პოლიტოლოგთა ერთ ნაწილს რუსეთის მიმართ ამერიკის პოლიტიკის გადასინჯვის საჭიროებას უკარნახებს - "ელცინის დროსაც რუსეთი სულ უფრო მეტად მიმართავს ისეთ თავდაჯერებულ პოლიტიკას, რომელიც არ შეესაბამება აშშ-ს წარმოდგენას მსოფლიო წესრიგზე მრავალ ქვეყანაში" - აცხადებს ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი. .

რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით უპირობოდ გახარებული და კმაყოფილი მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებაა. მას, რასაკვირველია, ვერც გენერალი ლებედი აშინებს და ვერც რუსეთის თავდაცვის მინისტრის პოსტზე როდიონოვის დანიშვნის შესაძლებლობა. "მე ჯერ არ ვიცი, რას მოიმოქმედებს . გენერალი ლებედი, მაგრამ რუსეთის მხრიდან, ნებისმიერ შემთხვევაში, როგორი იმპერიული ტენდენციაც არ უნდა წამოვიდეს, ხელისუფლება და პარლამენტი წინ აღუდგება მის მცდელობას და ქვეყნის დამოუკიდებლობას დაიცავს" - აცხადებს მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი აქტივისტი, ლანა ღოღობერიძე. ამავე დროს პარლამენტარი აღტაცებას ვერ ფარავს რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გამო.

საკუთარ ხალხზე მოძალადე საქართველოს ხელისუფლების უძლურება, გარეშე მტრისგან დაიცვას ქვეყნის მისგანვე საფუძვლიანად შერყეული სუვერენიტეტი, არაერთხელ ცხადად წარმოჩინდა. აფხაზეთისა და შიდა ქართლის სამარცხვინო სამხედრო ფიასკოები ზემოთქმულის თვალსაჩინო დასტურია. მით უფრო საკვირველია - ან რა ახარებთ, ან ვის ექადნებიან კინორეჟისორის პირით მეტყველი მოქალაქეები? იქნებ, 9 აპრილის გმირს - იგორ როდიონოვს (მისი მინისტრად დანიშვნა თითქმის გადაწყვეტილია), რომლის წინაშეც გარდიგარდმო გადადიოდნენ ნებადართულ ჰეროიკულ-პატრიოტულ მალაყებს და ქვეყნისა და ხალხის წინაშე სამშობლოზე მზრუნველი მამულიშვილების ხატსა ქმნიდნენ.

**ნუგზარ წიკლაური**

სიცოცხლის უფლება, რომელიც უპირობოდ თანხვდება დანაშაულის გამოსყიდვის, მონანიების იდეას, ნებისმიერი ადამიანის ბუნებრივი უფლებაა, თვით ყველაზე უარესისაც კი. ყველაზე გამოუსწორებელი დამნაშავე და ყველაზე მოუსყიდველი მოსამართლე თანასწორნი არიან მის წინაშე. ამ აუცილებელი პირობის გარეშე აზრი არ ექნებოდა ზნეობრივ ცხოვრებას. არავის გვაქვს უფლება, არ გვწამდეს ადამიანის, სანამ ის ცოცხალია. მხოლოდ უკანასკნელ ამოსუნთქვასთან ერთად, როცა ადამიანის ცხოვრება საბოლოოდ დასრულდება, როცა აწმყო უპირობო მყოფადად გადაიქცევა, მოგვეცემა ნება საბოლოო განაჩენისა. მაგრამ ადამიანის განსჯა ღვთიურ განკითხვამდე, სიცოცხლეშივე მისი ვალების გაუქმება, ჩვენს ძალებს აღემატება. თავის თავს ასამართლებს ის, ვინც ლამობს, სხვას გამოუტანოს საბოლოო განაჩენი აქ, ამ ქვეყანაში.

* * *

იდეათა ბრძოლა სახრჩობელების და გილიოტინების მეშვეობით წარიმართება. საზოგადოება კი არა, რომელიც ადამიანის შექმნილია, არამედ იდეოლოგია მართავს სამყაროს. იდეოლოგია გაუთავებლად ითხოვს ადამიანთა მსხვერპლს. თქმულა: "სიკვდილით დასჯა იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანის სიცოცხლემ დაკარგა საკრალური ღირებულება, თუკი ადამიანის მოკვდინება ჭკუის სასწავლებელ საქმედ არის მიჩნეული." როგორც ჩანს, საზოგადოებას ჭკუის სწავლება სწყურია - ცუდი მაგალითი გადამდებია. ყოვლისმომცველი ეს მავნე სენი ბადებს ქაოსს ურწმუნოებისას.

* * *

ვიმეორებ: არ მჯერა, რომ ამქვეყნად არავინ არაფერზე აგებს პასუხს და ამიტომაც, დღეს დამკვიდრებულ მოდას უნდა მივდიოთ - თურმე, ორივე უნდა გავამართლოთ - მსხვერპლიც და ჯალათიც. გრძნობათა ამ აღრევაში სიმხდალე სჭარბობს კეთილშობილებას და საბოლოოდ, ყველაზე დიდი ცოდვის გამართლებას ემსახურება, რადგან ამ ლოგიკით, მოსაწონი და მისასალმებელია ყველაფერი, რაც გარშემო ხდება - მონათა ბანაკები, მხდალი ტირანია, ორგანიზებული ჯალათობა, დიდ პოლიტიკოსთა მახინჯი ცინიზმი და თვით ძმისგან ძმის ღალატიც კი.

* * *

ასე რომ, ვისაც კატორღა სიკვდილით დასჯასთან შედარებით უფრო მსუბუქ საზღაურად მიაჩნია, ვუპასუხებდით: თავისუფლების დაკარგვა მსუბუქ სასჯელად იმიტომ ითვლება, რომ ჩვენმა საუკუნემ ეს დიდი ცნება გააუფასურა, თანამედროვე საზოგადოებამ თავისუფლების პატივისცემას გადაგვაჩვია. დაე, იცოცხლოს კაენმა, მაგრამ მხრებით ზიდოს თანამოძმეთა სიძულვილით აუტანლად დამძიმებული ცხოვრების ტვირთი.

*ალბერ კამიუ*

"ფიქრები გილიოტინის შესახებ"

# საზოგადოება სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ

**მოთხოვნას სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ შეუერთდნენ:**

ნოდარ წულეისკირი, გიორგი მრევლიშვილი, ალექსანდრე ქორელი, ლერი გოგოლაძე, თამარ კუკავა, ციცი გაბისკირია, ვახტანგ ქართველიშვილი, ელისო ნიჟარაძე, ლიანა ენუქიძე, ვლადიმერ შავგულიძე, თამარ ებრალიძე, ანა ჭავჭავაძე, ზურაბ შანიძე, დავით ტრაპაიძე, ზურაბ ვარდოსანიძე, ლევან ლობჟანიძე, ლიანა ლობჟანიძე, ეთერ მიშველაძე, მაკა წულეისკირი, ირმა წულეისკირი, ნოდარ ჯალაღონია, ჯემალ დავლიანიძე, ზურაბ სალია, სიმონ წერეთელი, ლიკა მამაცაშვილი, ლია ლაზარაშვილი, არჩილ ოდიშარია, თამარ კრავეიშვილი, გიორგი კალანდაძე, ნუგზარ ქანთარია, გურამ მირცხულავა, რენო ესვანჯია, ლეილა ჯალაღონია, ჯონდო ნიკურაძე, აკაკი მათიაშვილი, ნანა დვალი, ნინო ქართველიშვილი, ლეილა ცერცვაძე, გიორგი გორდეზიანი, მაია მაჭავარიანი, მაკარ გაბრავა, ბიმურზა აფრასიძე, ვასილ მაისურაძე, დავით ამირაჯიბი, შოთა ნადირაშვილი, მანანა მესხია.

(ხელმოწერები გრძელდება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანტისაოკუპაციო ულტიმატუმი

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, ეროვნულ-დემოკრატების გიორგაძისეულ ნაწილთან, ტრადიციონალისტთა კავშირთან და კიდევ რამდენიმე ორგანიზაციასთან ერთად, გამოვიდა ინიციატივით ეროვნულ პოლიტიკურ ძალთა კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელმაც, პარტიის თავმჯდომარის - ირაკლი წერეთლის თქმით, უნდა მიიღოს რეზოლუცია საქართველოში რუსეთის შეიარაღებული ძალების განლაგების წინააღმდეგ.

ანტისაოკუპაციო თემა არც ახალია, არც მოულოდნელი და თუკი ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია გქვია, უნდა ილვწოდე კიდეც საქართველოდან უცხო ქვეყნის ჯარების გაყვანისთვის. მოულოდნელია ამ ინიციატივის შეთავაზების ტონი, წერეთელი ულტიმატუმის სახით სვამს საკითხს - ვინც არ შემოგვიერთდება, იგი ჩვენი მტერია; მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ არ სურს საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანა.

ნიშანდობლივია: ერთი მხრივ, წერეთელი მიუთითებს ალიანსში მოქალაქეთა კავშირის მიღების დაუშვებლობაზე (განურჩევლად იმისა, ეტანება თუ არა მას ეს უკანასნელი) იმ მოტივით, რომ ესაა აშკარად პრორუსული ორიენტაციის პარტია; ამავე დროს, ეპატიჟება ამ კავშირის თავმჯდომარეს, ედუარდ შევარდნაძეს და იქვე აცხადებს, რომ კონფერენციაზე მისაღები რეზოლუციის განხორციელება ხელისუფლების პრეროგატივა ყოფილა. ხელისუფლებას კი, როგორც მოგვეხსენება, მმართველი პარტია - მოქალაქეთა კავშირი წარმოადგენს.

ძნელი წარმოსადგენია, წერეთელმა არ უწყოდეს: პოლიტიკური ალიანსი, რომელიც ორიენტირებული იქნება საქართველოში ყველაზე რეაქციულ ძალებზე - ედპ-სა და შევარდნაძეზე და, ამასთან, მიიღებს თუნდაც უაღრესად პოზიტიურ გადაწყვეტილებებს იმის იმედით, რომ მათ ხელისუფლება შეასხამს ხორცს, ძნელად იქნება მიღებული ეროვნულ პოლიტიკურ ძალთა ფართო სპექტრის მიერ. აღარაფერს ვამბობთ თავად საკითხის ულტიმატუმის ფორმით დასმის არაკორექტულობაზე.

ამასთან, ეს უკანასკნელი ინიციატივა არალოგიკურად და არასერიოზულად გამოიყურება და, ცოტა არ იყოს, თვითმიზნურ ხასიათს ატარებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ორად გახლეჩილი ედპ-ს გიორგაძისეული ნაწილი, პარლამენტსგარე დარჩენილი ტრადიციონალისტები და თავად წერეთელი ცდილობენ დივიდენდების მოკრეფას ქუჩაში და შემდგომ ამ განძით ვაჭრობას ხელისუფლებასთან. ამაში მათ ბრალს ვერ დასდებ - ესაა მათი პოლიტიკა. მაგრამ ყველას აქვს უფლება, არ სურდეს იყოს ამგვარი პოლიტიკის თანაზიარი.

ცნობისთვის: შევახსენებთ საზოგადოებას, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის დადგენილებით, საქართველოში არსებულ ყოფილი სსრკ-ს შეიარაღებულ ძალებს მინიჭებული აქვს საოკუპაციო ჯარის სტატუსი.

ასე რომ, იურიდიული საფუძველი არსებობს.

**რომანოზ საგინაშვილი**

# დახვრეტა - მართვის პოლიტიკური მეთოდი

მშრალი იურიდიული და სამართლებრივი დოკუმენტები, რომელსაც მსოფლიო საზოგადოებრიობა პერმანენტულად ილებს და რომლის მეშვეობითაც ცდილობს, უზრუნველყოს მშვიდობიანი კეთილდღეობა, ხშირად ვერ ითვალისწინებს იმ ზნეობრივ პრინციპებს, რომელიც საფუძვლად უნდა ედებოდეს ზოგადი სამართლიანობის იდეას. ამ დოკუმენტებს არაფერი აქვს საერთო ღვთაებრივი ჰარმონიის მშვენიერ კანონებთან. ჩვენმა საუკუნემ დაადასტურა, რომ ყველაზე წამყვან დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი, სადაც თვით ხელისუფლება ცდილობს ჰუმანიზმის დეკლარირებას და საკუთარი ქვეყნის სარწმუნოებრივი პრინციპებით მოწყობას, ფართო საზოგადოებისთვის ეს პრინციპები მხოლოდ და მხოლოდ ფიქციად რჩება.

ჩვენში ყველაფერი სხვაგვარადაა. მართალია, საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება იცავს პოლიტიკურ ეტიკეტს და უერთდება იმ დეკლარაციებს და კონვენციებს, რომელიც მას დემოკრატიული ხელისუფლების იმიჯის შესაქმნელად ესაჭიროება, მაგრამ მიუხედავად ევროპეიზებულობის პრეტენზიისა, იგი არათუ ცდილობს, არამედ არც კი უშვებს ჰუმანური ქმედების არც ერთ პრეცედენტს.

სამაგიეროდ, ქართველი ერის დიდი ნაწილი ცდილობს, იცხოვროს ზნეობრივად და დაუპირისპირდეს არსებული ხელისუფლების მიერ თავსმოხვეულ უზნეო ძალადობას. ზნეობრივ თუ პოლიტიკურ ოპონენტებს რეჟიმი სასტიკად უსწორდება და ხშირ შემთხვევაში მათთვის სასიკვდილო განაჩენიც კი გამოაქვს.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება თავისი ფორმით ტოტალიტარულია, ხოლო შინაარსით ბოლშევიკური. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ საქართველოში დღითი დღე იზრდება სიკვდილმისჯილთა რიცხვი, ხოლო სიკვდილით დასჯის გაუქმების საკითხი ხელისუფალთათვის ოდენ მსუბუქი პოლემიკის საგნად ქცეულა. თუმცა, ამ პოლემიკაში არ შეინიშნება არც სერიოზული განსჯა, არც გულისტკივილი. ორივე მხარე ამ საკითხით შესანიშნავად მანიპულირებს - ხელისუფალთა ნაწილი ჰუმანურობის ხიბლის მოსაპოვებლად იღვწის, ნაწილი კი დაშინებულ საზოგადოებაში მშვიდად ცხოვრების გარანტიებს ეძიებს. არადა, ისინი ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებიან. მათ ხომ სულ ცოტა ხნის წინ ერთსულოვნად გამოუტანეს მთელ საქართველოს სასიკვდილო განაჩენი.

იმის პირველი და უმთავრესი მიზეზი, თუ რატომ იკავებს თავს "მსოფლიო სტანდარტებით მოაზროვნე" სახელმწიფოს მეთაური სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე ისაა, რომ ყოფილი ცეკას მდივანი, რომელიც კარგად იცნობს სახელმწიფოს შენების კომუნისტურ მეთოდებს, ხელისუფლების შენარჩუნებას სწორედ ძალადობის, ტოტალური, საყოველთაო შიშის გზით აპირებს. მით უმეტეს, არსებობს საბჭოთა რეჟიმის ამგვარი მეთოდებით მართვის უკვდავი პრაქტიკა. ალბათ, არც ერთ სახელმწიფოში, არც ერთ რეჟიმს არ დაუსჯია სიკვდილით იმდენი ადამიანი, რამდენიც კომუნისტურმა ხელისუფლებამ დასაჯა თავისი არსებობის მანძილზე, თანაც ისე, რომ საზოგადოება კმაყოფილი დარჩა; უფრო მეტიც, კომუნისტური მმართველობის გაუქმების შემდეგ, ხალისით მიიღო მონაწილეობა ამ ყველაზე სისხლიანი რეჟიმის რეანიმაციაში, დემოკრატიული ჰაუბიცებით და ავტომატებით დამოუკიდებლობის წინააღმდეგ კბილებამდე შეიარაღებულმა.

ეს ერთი შეხედვით აუხსნელი მოვლენა სერიოზულ მიზეზებს ემყარება. ხალხი დაშინებულია და რეპრესიების მოლოდინში, თავს არიდებს აქტიურ მოქმედებას, ხოლო ნომენკლატურა, რომელიც თავად ქმნის ამგვარ სადამსჯელო აპარატს, ვერც კი აცნობიერებს, რომ მის მიერ განსაცვიფრებელი ენთუზიაზმით მიღებული ყველა გადაწყვეტილება თუ კანონი, ადრე თუ გვიან, მისივე დასჯის იარაღად იქცევა.

სახელმწიფო სტრუქტურებში მოკალათებულ ჩინოვნიკებს, რომლებიც, საკუთარი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად და მეთაურის საამებლად, სიკვდილით დასჯის გაუქმების წინააღმდეგ ილაშქრებენ, განაჩენი გამოაქვთ საკუთარი მომავლისთვის. მათ ავიწყდებათ სულ უახლესი ისტორია, როდესაც ედუარდ შევარდნაძე, ჯერ კიდევ ცეკას მდივნის სტატუსით, კორუფციასთან ბრძოლის ეგიდით იჭერდა, ასამართლებდა და სასიკვდილო განაჩენს უმზადებდა პრაქტიკულად უდანაშაულო ადამიანებს. ეს ადამიანები მაშინ ისეთივე თანამდებობის პირები იყვნენ, როგორც ახლანდელი ჩინოსნები არიან, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მათ საზოგადოებაში მეტი რესპექტი ჰქონდათ.

წარსულის მაგალითების გათვალისწინებით, დღეს საქართველოს ხელისუფალთა დიდი ნაწილი იმ რეჟიმის პოტენციური მსხვერპლია, რომლის დაკანონებას თვითონვე ემსახურება, ხოლო მარცხის შემთხვევაში იმავე კანონმდებლობით გასამართლდება, რომლის შექმნასაც დღეს ასე ესწრაფვის პოლიტიკური მოწინააღმდეგეების გასანადგურებლად.

სიკვდილით დასჯის ეს ტრაგიკული კანონი, რომელიც დანაშაულის უწყვეტ ჯაჭვს ქმნის სამართლებრივ სამყაროში, ცივილიზებული კაცობრიობის საუკეთესო ნაწილმა ერთხმად უარყო. საკვირველია, რატომ არ იზიარებს ამ პრაქტიკას "დემოკრატიისთვის" მებრძოლი საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც კრიმინალებისა და ბანდიტების დაპატიმრებასაც კი ერთ დროს ჰუმანიზმის პრინციპების დარღვევად აღიქვამდა.

დღეს საქართველოში სასიკვდილო განაჩენი პატრიოტებისთვის გამოაქვთ, ხვალ იგივე ბედი ელით არსებული რეჟიმის ყურმოჭრილ მონებსაც, მით უმეტეს, რომ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულობანი ამის სერიოზულ საფუძველს იძლევა.

გამოსავალი ერთია - სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნა გახდეს საზოგადოებრივი მოძრაობის საგანი, რათა დღეს ბოძებული კეთილდღეობით დაბრმავებულნი, ხვალ განწირულთა ხვედრის მოზიარენი არ გახდნენ.

**ქეთევან ქურდოვანიძე**

# პოსტსაბჭოური ინტელიგენციის შიში და სასოწარკვეთა

## მათი ძალა

ჯერ კიდევ 1935 წელს, როდესაც ის-ის იყო იწყებოდა სანდრო ახმეტელის გარშემო წრის შეკვრა, ლავრენტი ბერიამ საგანგებოდ ამ საკითხისადმი მიძღვნილ ცკ-ს ბიუროს სხდომაზე განაცხადა - სხვათა შორის, საკმაოდ მოულოდნელად, თითქოს ყოვლად უმისამართოდ და უსაფუძვლოდ, - რომ საქართველოში ძალიან ძლიერი და სახიფათო ინტელიგენციაა, ვინაიდან იგი დაკავშირებულია სოფელთან.

ანტიეროვნული ექსპანსიონიზმი, რომელიც საკუთრივ რუსეთში იმხანად ბოლშევიკურ ნომენკლატურად ჩამოყალიბდა, ყოველთვის შეუცდომლად გრძნობდა, რას უნდა დაეყრდნოს, რას უნდა ებრძოლოს და საიდან მოდის საფრთხე. ცხადია, საყრდენი იყო პროლეტარიატი - მოწყვეტილი მიწას, მაშასადამე მკვიდრ, ტრადიციულ არეალს, შემოქმედებით შრომასა და მჭვრეტელური ცხოვრების წესს. ასევე ცხადია, რომ ქალაქური ცნობიერება, მეტად დამოკიდებული სოციალურ სისტემასა და "მიმდინარე მომენტზე", უფრო იოლად კონტროლირებადიც იყო, სამართავიც და, სხვათა შორის, გასანადგურებელიც.

ადამიანი მაინც ცხოველია და, თუ ვერ ხვდება, ყოველთვის გრძნობს პერსპექტიულ საფრთხეს. ადამიანთა კრებული, თავმოყრილი კონტროლირებად, სისტემატიზირებულ გარემოში და დამუხტული გარკვეული სოციალური შეკვეთით, კარგავს ამ იმუნიტეტს და იქცევა პლებსად, ანუ როგორც უკვართ თქმა - ბრბოდ, რომლის მართვა, მართლაც, ადვილია.

მას შემდეგ ქართულმა ინტელიგენციამ დაკარგა თავისი ზურგი - სოფელი და ხალხი; დაკარგა ძალა, რომელიც ასაზრდოებდა მას ფიზიკურადაც და სულიერადაც; დაკარგა სოციალური ბაზაც და მორალური საყრდენიც, შესაბამისად - შემოქმედებითი იმპულსიც.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია...

დამონების შემდგომი ეტაპია ბრმა სოციალური მასისთვის ელიტარული მმართველი ფენის ჩამოყალიბება: ამავე პროლეტარული პლებსიდან შერჩეული ინდივიდებისთვის ფსევდოინტელექტუალიზმის დაღის მიკერება და მათგან პრესტიჟული სოციალური კასტის ჩამოყალიბება.

და იქმნა ინტელიგენცია - პირმშო და მსხვერპლი ძალადობისა, მარად მისი მორჩილი, ერთგული მსახური და ამავე დროს მისი იდეოლოგიური მესაჭე.

## ვისი ხარ, ბიჭო...

ოსიპ მანდელშტამის მეუღლე, ნადეჟდა მანდელშტამი თავის მემუარებში აღწერს ერთ მეტად საგულისხმო ეპიზოდს: სოხუმში, სამთავრობო აგარაკებზე დასასვენებლად მყოფი მწერლების ცოლები ერთმანეთში არკვევენ - ვინ ვისია. "ჩვენ მოლოტოვის ვართ" - ამბობს ერთი, "ჩვენ კი იაგოდასი" - ამხელს მეორე. "მე თავდაპირველად ვერ მივხვდი, რაზე იყო საუბარი და როდესაც გავერკვიე, დაბნეულმა მივუგე - ჩვენ ბუხარინისა ვართ-მეთქი" - იხსენებს ავტორი.

ასე რომ, პოსტრევოლუციური ინტელიგენცია ყოველთვის ეძიებდა თავის "მეცენატს" ცენტრალური კომიტეტებისა და ბიუროების სავარძლებს შორის და ამ სავარძლების ცვენასთან ერთად, ხშირად თავადაც ეწირებოდა თავის უიღბლო პატრონებს - ცხადია, თუკი დროულად არ შეიცვლიდა მათ.

ამ ფონზე, რუსულ სინამდვილეში, მართლაც, ოაზისივით გამოიყურებიან მიხეილ ბულგაკოვი და ბორის პასტერნაკი, რომლებმაც არ იკადრეს დაბალი პოსტები და უშუალოდ უმაღლეს მთავარსარდალს, სტალინს ეკეკლუცებოდნენ: ერთი მის ჰეროიკულ ახალგაზრდობას ასახავდა, ხოლო მეორე - სიკვდილისა და სიცოცხლის მარადიული პრობლემის გარკვევას სწორედ "კრემლის სფინქსთან" ლამობდა. ალბათ, ამიტომაც გადარჩნენ.

საქართველოში ამგვარი მეგობრული ალიანსები უფროსობასთან კიდევ უფრო იოლი და სახიფათო იყო: იოლი, ვინაიდან ადამიანურ ურთიერთობებში უშუალობა ზოგადად დამახასიათებელია ქართული ბუნებისთვის, და სახიფათო, ვინაიდან ქართველი სატელიტები ყოველთვის სამაგალითო და არაპროგნოზირებადი სისასტიკით გამოირჩეოდნენ თავიანთი თანამემამულეების მიმართ - მუდამ ცდილობდნენ, რომის პაპზე მეტი კათოლიკობა წარმოეჩინათ.

70-იან წლებში გვარიანად ნაგვემი და ციმბირის ყინვაგამოვლილ "სულის ინჟინერთა" პირმშონი უკვე ხავერდივით სასიამოვნო მასალად მოევლინენ პარტოკრატიულ ელიტას. ეს უკანასკნელნიც დაიხვეწნენ, რამეთუ თავად ვითარება აღარ მოითხოვდა მათგან სისხლისმსმელობას - სასებით საკმარისი იყო თავზე ხელის გადასმა, პრესტიჟულ საზღვარგარეთულ ან სულაც საკავშირო კონფერენციაზე გაგზავნა, ავეჯის ან მანქანის რიგში წინა ადგილზე გადასმა და ა.შ.

## თამაშის თეორია პრაქტიკაში

წმინდა ნომენკლატურული ელიტის რიგების განმტკიცების პარალელურად მიმდინარეობდა პრესტიჟული, თითქმის მოდისიდენტო ბოჰემის კულტივირება - სპექტაკლებისა და კინოფილმების აკრძალვა-დაშვებით, ფინანსების არგამოყოფა-გამოყოფით, ლოკალური, ნახევრად კულუარული, მაგრამ ამით არანაკლები, პირიქით, უფრო მეტად პრესტიჟული სემინარებით, რომელთა წიაღში თანდათან იკვეთებოდა ფსევდოპატრიოტიზმსა და ფსევდოდისიდენტობასთან ნაზავი იდეოლოგია. მექანიზმი კარგადაა ცნობილი.

ამ უკანასკნელთა მართვის მთავარი ბერკეტი იყო შემოქმედებითი პერსპექტივის ილუზია - და ეს აღმოჩნდა არანაკლებ მიმზიდველი ფაქტორი, ვიდრე ნომენკლატურული კარიერა ან მატერიალური კეთილდღეობა, ასევე არანაკლებ საშიში, ვიდრე 58-ე მუხლით გადასახლება. რას იზამ - შემოქმედს, მით უფრო, თუ იგი მართლაც ნიჭიერია, ყოველთვის წასძლევს სურვილი ოდნავ მაინც ეურჩებოდეს ძლიერთა ამა ქვეყნისა და ამით იყოს საინტერესო მომავლისთვის. და მათ შეუქმნეს ასეთი სათამაშო ვითარება, როდესაც ურჩობაც დაშვებული და წახალისებულია, თანაც, მეტი დამაჯერებლობისთვის, ზოგჯერ ხელსაც მოუჭერდნენ, დაუცაცხანებდნენ, საბოლოოდ კი - თითქმის ყველაფერი გასდიოდათ, ე.ი. "ბედავდნენ" და "იმარჯვებდნენ".

საგულისხმოა, რომ ამ საკვლევი ბაჭიების როლში სისტემამ ურჩი სამოციანელები ჩააგდო: მათი ნაწილი იმთავითვე, ინტელექტუალურ-პოეტიკური ამბოხის, ფიზიკოსებსა და ლირიკოსებს შორის დებატების ჟამს დაცხრილა მორალურად. ამათგან ბევრი შემდგომ მანიპულირებადი გახდა, ბევრმა კი - ემიგრაცია არჩია.

"შეურიგებელნი" კი მოგვიანებით თავად აღიარებდნენ, რომ მათაც თავისი ზემდგომი სავარძლები პატრონობდნენ. მაგალითად, ანდრეი ტარკოვსკიმ "პერესტროიკის" დაწყებისთანავე მადლობები უთვალა კინემატოგრაფიის საყოველთაოდ დაწყევლილ მინისტრს ერმაშს, რომელიც, თურმე, ხმალამოღებული იბრძოდა მისი ფილმებისთვის დაფინანსების გამოყოფაზე. მართლაც ჩინებული საქციელია და მთავარია, რომ ამის გამო არავინ დაზარალდა.

ქართულ ინტელიგენციას კი დიდი ხარკის გადახდა მოუწია თავისი მფარველისთვის: ოდეს ეს უკანასკნელი უსამსახუროდ დარჩა, ჰუმანისტებმა იარაღი აისხეს და ხალხის სისხლი დაღვარეს პენსიაზე გასული შევარდნაძის შრომითი მოწყობის საკითხის გადასაჭრელად.

## ინტელიგენციური ბრბოს სინდრომი

ჯერ კიდევ 1990 წლის არჩევნებამდე, ერთი ცნობილი თეატრალური რეჟისორი ჩემთან პირად საუბარში გამოთქვამდა შიშს - ყველაფერი იქით მიდის, რომ ინტელიგენციას ხერხემალი გადაუმტვრიონო. მათ იგრძნეს "საფრთხე" და, თავის გადასარჩენად, გადაწყვიტეს წელში გატეხათ მთელი ერი, რომელსაც სუნიანების ბრბო უწოდეს. მათ არ სურდათ დაეთმოთ თავიანთი სისუსტეები და გადაწყვიტეს გაენადგურებინათ თავიანთი ძლიერება.

ესაა ბოლშევიკური შინელიდან ამოზრდილი პრორუსული, ფსევდო-დემო-რევოლუციური ინტელიგენციის მარადიული ჯოჯოხეთის წრე - მუდამ ეშინოდეთ 37 წლის განმეორებისა და თავად ქმნიდნენ 1917-ს, რომელსაც უცილობელ მოჰყვება სოლოვკებიც და გულაგიც.

და ეს ყველაფერი მათთვის...

**ანა ჭავჭავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენებას იძლევა უზენაესი საბჭოს წევრი ნუგზარ მოლოდინაშვილი

**მე ვაძლევ ჩემს თავს უფლებას ვამტკიცო, რომ შეიარაღებული კონფრონტაციის გაჩაღებით და მის სამოქალაქო ომში გადაზრდით დაინტერესებული იყო ერთადერთი პიროვნება - ედუარდ შევარდნაძე.**

### აუცილებელი პირობა - პრეზიდენტის გადადგომა

დავუბრუნდეთ სოხუმის შეხვედრას. მე მოვახსენე ბატონ ზვიადს ჩემი წინადადების შესახებ. საწინააღმდეგო მას არაფერი ჰქონია, მაგრამ აბსოლუტურად სკეპტიკურად იყო განწყობილი, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული, რომ არავითარი შეხვედრა არ შედგებოდა.

სოხუმიდან დაბრუნების შემდეგ მე შევხვდი თბილისიდან ჩამოსულ ავთანდილ იოსელიანს და დავრწმუნდი, რომ პრეზიდენტი, როგორც ყოველთვის, მართალი იყო. ეს იყო 1992 წლის აპრილის ბოლო - მაისის დასაწყისი - ამას ექნება მნიშვნელობა იმისთვის, რაც მოხდა შემდეგ, მაისში.

სხვათა შორის, ადრე ვურჩიე იოსელიანს, რა საშუალებით შეიძლებოდა შევარდნაძემდე ამ ამბის მიტანა. თუ, ბოლოს და ბოლოს, ვერ მოხერხდებოდა შევარდნაძის ნახვა, ვურჩიე თეიმურაზ სტეპანოვთან შეხვედრა (არა მგონია, რჩევა დასჭირვებოდა, მაგრამ მაინც მივასწავლე).

მისი პასუხი იყო აბსოლუტურად არაკომპეტენტური. შევარდნაძე მას არ ენახა - ყოველ შემთხვევაში, ასე განაცხადა - ხოლო შეხვედრის ერთადერთ პირობად დასახელებული იყო პრეზიდენტის გადადგომა. ე.ი. რაც ეზმანებოდათ, ის ელანდებოდათ. მე შევახსენე ამ ინიციატივის ძირითადი აზრი - რომ შეხვედრა ყოფილიყო აბსოლუტურად უპირობო. ისიც ვუთხარი, რომ ის მხარე, რომელიც პირველი გადადგამდა ამ ნაბიჯს, დააგროვებდა უდიდეს პოლიტიკურ ქულებს და მართალი იქნებოდა ისტორიის წინაშე. როგორც ჩანს, ეს მათთვის სუსტი არგუმენტი იყო. მიუხედავად ამისა, მაინც მომხრე ვიყავი, გაგვეგრძელებინა ჩვენი ქმედებები ამ მიმართულებით: მე - ბატონ ზვიადთან, მას - თავის ხელმძღვანელობასთან.

### რატომ დამაპატიმრეს სოხუმში

ამის შემდეგ, მაისის ბოლოსთვის, ამ შეხვედრიდან დაახლოებით ერთ კვირაში, სოხუმში გამოგზავნილი იქნა სპეციალური დანიშნულების რაზმი ვერტმფრენით და აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, გივი ლომინაძის უშუალო ხელმძღვანელობით (ოპერაციაში მონაწილეობდა მისი მოადგილე ლომინეიშვილი, ასევე გელა ლანჩავა, 3 "ბეტეერი" და 50-მდე კაცი), გმირულად ვიყავი აყვანილი მანამდე სრულიად მშვიდად და თავისუფლად მოსეირნე დეპუტატი. შემდგომში იყო მცდელობები დაბრალებისა, რომ აყვანის დროს გავუწიე წინააღმდეგობა. ეს ძალიან კომიკური იყო.

ამჯერად ჩემს ინტერესებში არ შედის ვარჩიო ჩემი აყვანის კანონიერების ან უკანონობის საკითხი. მინდა, უბრალოდ, დავაფიქსირო, რომ ადამიანი, რომელსაც ჰქონდა სურვილი, გაეკეთებინა რამე, რათა საქართველოში არ გაღვივებულიყო ურთიერთდაპირისპირება და ზღვარი დადებოდა ქართველთა შორის კონფრონტაციას, სწორედ ამ ინიციატივის გამომჟღავნების შემდეგ იქნა დაპატიმრებული - "რატომღაც" აუცილებელი გახდა მისი იზოლირება.

### მეორე მოლაპარაკება ავთანდილ იოსელიანთან

უკვე 1993 წლის აპრილში, ჩემთან სახლში, გაისმა ტელეფონის ზარი. ყურმილი ავიღე, მამაკაცის ხმა იყო (ტელეფონით ეს ხმა მეუცხოვა). დაიწყო უცნაურად - დაგვიძველდა პურ-მარილიო. ვინა ხარ-მეთქი; მიპასუხა - ავთო ვარ, იოსელიანიო. იცი ჩემი სახლი და პურ-მარილი თუ გაინტერესებს, მობრძანდებოდი. ამ რეჟიმის საიდუმლო სამსახურებთან პურ-მარილზე კაბინეტებში არ დავდივარ-მეთქი. სხვათა შორის, იმითაც დაინტერესდა, ხომ არ ისმენდა ვინმე ჩემს ტელეფონს. ჩემში ამან ცოტა იუმორისტული განწყობა გამოიწვია - თუ უსმენენ, გამორთე-მეთქი.

შემომთავაზა შეხვედრა. მიღებულმა გამოცდილებამ მიკარნახა, რომ მარტო არ შევხვედროდი. შევხვდი ავთანდილ რცხილაძესთან ერთად. მისი წინადადება შემდეგში მდგომარეობდა: სამწუხაროდ, 1992 წელს ჩაიშალა ის ინიციატივა, რომელიც ძალიან გონივრული და პრაგმატული იყოო. ამის მიზეზად მან დაასახელა ის, რომ შევარდნაძე 1992 წელს აღარ თვლიდა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ ფიგურად და ეს პრობლემა მას გადაჭრილი ეგონა, ხოლო 1993 წელს აღმოაჩინა, რომ ეს პრობლემა არ იყო გადაჭრილი. დაისვა ანალოგიური საკითხი - ეგებ გაგვეგრძელებინა ეს ინიციატივები. მე დავთანხმდი და ვუთხარი, რომ დაუყოვნებლივ წავიდოდი გროზნოში, და თვითონაც, რაც საჭირო იყო, ის გაეკეთებინა.

პირობა შევასრულე - იმავე საღამოს, ავთანდილ რცხილაძესთან ერთად, წავედი გროზნოში და საქმის კურსში ჩავაყენე ბატონი ზვიადი. მისი რეაქცია საკმაოდ პოზიტიური იყო. იგი ლოგიკური დასკვნებით ხსნიდა ყველაფერს: იმ დროისთვის რეჟიმს საკმაოდ კრიზისული და მწვავე მდგომარეობა ჰქონდა შექმნილი აფხაზეთის ომისა და საქართველოში მიმდინარე პროცესების გამო. ამიტომ ბატონმა ზვიადმა არ გამორიცხა, რომ, შესაძლოა, რეჟიმის მესვეურებს სურდათ დიალოგზე გამოსვლა. მითხრა მხოლოდ - ვყოფილიყავი ფრთხილად, რათა ამ შეხვედრებს ჩემი დისკრედიტაცია არ გამოეწვია. მე მას ვუთხარი: "თუ საერთო საქმეს ეს რამეში წაადგება, არ დაგიდევთ არავითარ პიროვნულ პოლიტიკურ რენომეს; თუ ეს საჭირო იქნება, მე მზად ვარ, როგორც თქვენი წარმომადგენელი, შევხვდე მას პირადად". ამაზე მას უარი არ უთქვამს.

შესაძლო საორიენტაციო ვარიანტად შემოთავაზებული იყო ნულოვანი ვარიანტი. ანუ ყველას, ორივე მხარეს, ნებაყოფლობით უნდა აეღო ხელი იმ თანამდებობებზე და სტატუსზე, რაც იმ დროისთვის ეკავათ. ამის შემდეგ უნდა მოხერხებულიყო საქართველოში ერთობლივი არჩევნების დანიშვნა და გადაჭრილიყო ყველა კონფლიქტური საკითხი. ჩემის აზრით, ეს მეტად მნიშვნელოვანი დათმობა იყო. ყოველ შემთხვევაში, ამ საწყისებზე დიალოგის დაწყება შესაძლებლად მიმაჩნდა.

თბილისში რცხილაძე და მე კვლავ შევხვდით ა. იოსელიანს. მან გვითხრა, რომ ყველაფერი მოახსენა შევარდნაძეს, ხოლო მისგან პასუხი ვერ გამოიტანა: მას არც თავი დაუქნევია, არც არაფერი უთქვამს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვითხრა.

### რისთვის იყო საჭირო ჩემი დისკრედიტაცია

ეს იყო უკანასკნელი შეხვედრა და მას არ მოჰყოლია არავითარი გაგრძელება. სამაგიეროდ, დაიწყო საიდუმლო სამსახურების მიერ ჩემი პიროვნების გარშემო არაჯანსაღი აჟიოტაჟის ხელოვნურად შექმნა, რასაც შედეგად მოჰყვა არცთუ სასიამოვნო მომენტი - შედარებით გაგრილება ურთიერთობისა ჩემსა და ბატონ ზვიადს შორის, გაგრილება და არა გაცივება. აღნიშნული ინიციატივისა და შეხვედრის შემდეგ მე აღმოვჩნდი "მრგვალი მაგიდის" გარეთ, მართალია, ძალიან დელიკატური შემონათვალით - რომ დღეს ასე ჯობდა და გაგებით მოვკიდებოდი ამას. მაგრამ მაინც ვთვლი, რომ ეს ჩემი ინიციატივების ერთ-ერთი შედეგი იყო.

უფრო ამომწურავი პასუხი მოგვიანებით მივიღე პირადად ბატონი ზვიადისგან, უკვე სამეგრელოში; პასუხი, რომელმაც მე სრულად დამაკმაყოფილა. მან მითხრა (ეს ჩვენი ერთ-ერთი ბოლო შეხვედრა იყო და ამის მოწმეებიც არიან), რომ ის მე მიცნობდა და მთვლიდა თავის მეგობრად მაშინ, როდესაც არ ვიყავით ხელისუფლებაში, მაშინაც, როდესაც ვიყავით ხელისუფლებაში და იმის მერეც, როდესაც განგვდევნეს... და ყოველთვის; მითხრა, რომ ყოველთვის მენდობოდა და სჯეროდა ჩემი. ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი და ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასება. ამაზე დიდი ორდენი და ჯილდო არც მანამდე, არც მერე დამჭირვებია და სიცოცხლის ბოლომდე აღარც დამჭირდება.

შემდგომმა მოვლენებმა დამარწმუნა, რომ ჩემს მიმართ 1992 წლის გაზაფხულიდან დაწყებული კამპანია მხოლოდ ჩემს პირად დისკრედიტაციას არ ისახავდა მიზნად: მიდიოდა გამალებული მზადება "ოპერაცია ტრესტის" მსგავსი მზაკვრული გეგმისა, რომლის საბოლოო შედეგი უნდა ყოფილიყო ზვიად გამსახურდიას ფიზიკური განადგურება. ცხადია, ამ მზადების პერიოდში სრულიადაც არ იყო აუცილებელი და სასურველი მის გვერდით ერთგული და სანდო პიროვნებების ყოფნა. მიუხედავად ამისა, მაინც ჩემს თავს ვუთვლი დანაშაულად, რომ ავყევი წუთიერ სისუსტეს და არ მივანიშნე ზოგიერთ მომენტზე, რომელიც მას თავს შეაკავებინებდა, შეიძლება, საბედისწერო ნაბიჯისგან. უფრო სწორად, იმ დროისთვის მე ეს, ალბათ, მთლიანად გაცნობიერებული არ მქონდა.

### ბობოყვათის შეხვედრა

1993 წლის სექტემბერში, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით, დაბა ბობოყვათში ჩატარდა შეხვედრა განდევნილი უზენაესი საბჭოს წევრებსა და ფაქტობრივი რეჟიმის წარმომადგენლებს შორის. მე ვმონაწილეობდი ამ შეხვედრაში. ფაქტობრივი ხელისუფლების მხრიდან საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაცია ჩამოვიდა: მაშინდელი ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანი, დეპუტატი ზურაბ ჟვანია, ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი (მამამისიც ჰყავდა ჩამოყვანილი), უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მინდია უგრეხელიძე, გენერალური პროკურორის მოადგილე ვახტანგ გვარამია და ა.შ. ჩვენი მხრიდან იყვნენ ბატონები - ზაურ ქობალია, ტარიელ გელანტია, მე, ელიზბარ ჯაველიძე, ირაკლი ჩხეიძე და ა.შ.

ძირითადად მოლაპარაკებები ეხებოდა ერთ საკითხს - როგორმე მოხერხებულიყო შიდაპოლიტიკური დაპირისპირებიდან იარაღის ფაქტორის გამორიცხვა, დაპირისპირებული ძალების დაშორიშორება. ყოველივე ამისთვის აუცილებელი იყო მოხსნოდა ბლოკადა ტელევიზიასა და საინფორმაციო საშუალებებს, ჩვენ მოგვცემოდა თავისუფალი პოლიტიკური აპელირებისა და არგუმენტაციის შესაძლებლობა.

მიუხედავად დიდი მცდელობებისა, სამწუხაროდ, ეს შეხვედრაც უშედეგოდ დამთავრდა პროზაული და, ჩემის აზრით, არასერიოზული მიზეზით: მხარეები ვერ შეთანხმდნენ, თუ როგორ უნდა მოეწერათ ხელი ერთობლივ დოკუმენტზე - სრული ტიტულატურით, როგორც დევნილი უზენაესი საბჭოს წევრებსა და ასევე პარლამენტის წევრებს, თუ მხოლოდ გვარითა და სახელით.

ამის გარდა, მე შემიძლია დავასახელო მოწმედ ვაჟა ადამია, რომელიც გაზეთ "სარანგში" აცხადებს, რომ პრეზიდენტის ზუგდიდში დაბრუნების შემდგომ დღეებში მასთან მოვიდა დეპუტატი იგორ ნარმანია და უთხრა, რომ პრეზიდენტი სთავაზობდა არსებულ ხელისუფლებას დიალოგის დაუყოვნებლივ დაწყებას, რათა მთლიანად გამორიცხულიყო შეიარაღებული კონფრონტაცია. თუ რატომ ვერ შეძლო ამის გაკეთება, ადამია ხსნის იმით, რომ ორი კვირის განმავლობაში ერთხელაც ვერ მოახერხა შევარდნაძესთან შეხვედრა მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძემ იცოდა, რა საკითხზე უნდა შეხვედროდა.

### ვინ მოიგო ამ ომით

ამის შემდეგ მე ვაძლევ ჩემს თავს უფლებას ვამტკიცო, რომ შეიარაღებული კონფრონტაციის გაჩაღებითა და მის სამოქალაქო ომში გადაზრდით დაინტერესებული იყო ერთადერთი პიროვნება - ედუარდ შევარდნაძე.

მე პირველივე სხდომაზე შევპირდი აქ მყოფ დაზარალებულებს, რომ, შეძლებისდაგვარად, ავუხსნიდი მათი შვილების დაღუპვის მიზეზს და დამნაშავეებსაც დავუსახელებდი. თუ პრიმიტიულ ნორმამდე დავალთ და მათი შვილების დაღუპვას გადავაბრალებთ მხოლოდ უშუალო შემსრულებლებს (რასაკვირველია, ამასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს), ამ ლოგიკით შეიძლება მივიდეთ იქამდე, რომ დასახვრეტი გაგვიხდეს კალაშნიკოვის ტიპის ავტომატი. მე ვცდილობ, გაგაგებინოთ, თუ ვინ მისცა მათ ეს ავტომატი ხელში, ანუ ვამხილო ის, ვინც იყო უამრავი ქართველი ახალგაზრდის ფიზიკური და სულიერი განადგურების უმთავრესი მიზეზი, ვინც დაიწყო ომი, ვინც უწყობდა ამ ომს ხელს, ვისაც აწყობდა ეს ომი და ვინც მოიგო ამ ომის შედეგად.

არის ასეთი მცნება - დამნაშავის ძიებისას ნუ დაგავიწყდებათ ის, ვისაც ამ დანაშაულის შედეგად დარჩა მოგება.

(გაგრძელება იქნება)

---

# დამიცავით ველური ანგარიშსწორებისგან

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, ბ-ნ ბუტროს ბუტროს გალის**
**მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტებს**
**საქართველოში აკრედიტებულ ყველა საელჩოს**
**მსოფლიოს საზოგადოებრიობას**
**ასლი: საქმე №7495927-ს სასამართლო პროცესზე წასაკითხად**

**საქართველოს 1990 წლის 28 ოქტომბრის მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრის, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მრჩევლის, საქართველოს ჰელსინკის კავშირის პოლიტიკური საბჭოს წევრის,**

**ნუგზარ მოლოდინაშვილის**

## მიმართვა

ბატონებო, აგერ უკვე 6 თვეა გრძელდება უხეში პოლიტიკური ანგარიშსწორება ჩემს მიმართ. 1995 წლის 17 მაისს დამაპატიმრეს უსაფუძვლო ბრალდებით - ბრალს მდებენ სამშობლოს ღალატში (სსსკ-ის 65-ე მუხლი) და შეიარაღებულ ბანდიტიზმში (სსსკ-ის 78-ე მუხლი). წაყენებულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ მიცვნია; ამასთანავე, არ ამირიდებია თავი წინასწარ ძიებაში მონაწილეობისთვის; ძიება არ ჩატარებულა, არ დაუპირისპირებია ბრალდებას არც ერთი ბრალდების მოწმე.

1996 წლის 1 თებერვალს დაიწყო სასამართლო პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ არ ვცნობ უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილებას გამასამართლოს, თავი არ ამირიდებია სასამართლო პროცესში მონაწილეობისთვის; 4 თვის მანძილზე ვიტანდი წარმოუდგენელ აბუჩად აგდებას, მოთმინებით ვაბათილებდი ბრალდების უსაფუძვლო არგუმენტებს. ჩემს მოთმინებასაც აღმოაჩნდა საზღვარი - 1996 წლის 21 მაისს ვეღარ ავიტანე მოსამართლე ალადაშვილის პერმანენტული, უაპელაციო თავხედობა, ავყევი მის წამოწყებულ პროვოკაციას, რის შედეგადაც გამაძევეს სასამართლო პროცესიდან.

მიუხედავად ამისა, ვინარჩუნებდი იმედს, რომ ჩემი საზოგადოებრივი დამცველი და სახაზინო ადვოკატი დაიცავდნენ ჩემს უფლებებს. ტყუილად ვიმედოვნებდი. 30 მაისს გააძევეს ჩემი საზოგადოებრივი დამცველი, IGFM-ის ინდივიდუალური წევრი, ქ-ნი ლია ბერუაშვილი; შემდეგ, ჩემი ადვოკატის ჯანმრთელობის უკიდურესად გაუარესების გამო, დავრჩი საერთოდ დაცვის გარეშე. ახლა ცდილობენ, დამინიშნონ ახალი დამცველი, რომლის ჩართვაც თითქმის შუაზე მისულ პროცესში სურთ მექანიკურად; არღვევენ ელემენტარული ლოგიკის ნორმებს - მას არ მოუსმენია ჩემი ჩვენება, არ მოუსმენია ბრალდებისთვის, არ მოუსმენია მოწმეებისთვის.

ელემენტარულად, ჩემი საქმე უნდა გამოიყოს წარმოებით ცალკე და დაინიშნოს სასამართლო პროცესი თავიდან, ადვოკატი პროცესის დასაწყისიდანვე უნდა ჩაერთოს სასამართლო ძიებაში.

მე არ გავურბივარ პასუხისმგებლობას. მზად ვარ პასუხი გავცე და ვამხილო ჩემდამი უსაფუძვლო ბრალდების ინკრიმინატორები, ვინაიდან მთელი შეგნებით ვამტკიცებ - საქართველოში ტოტალიტარული დიქტატურაა, ხოლო დამოუკიდებელი სასამართლო დიქტატორის ნების მორჩილი შემსრულებელია.

მოვითხოვ ერთადერთს - გაიმართოს ჩემი სასამართლო პროცესი საერთაშორისო დამკვირვებლების მონაწილეობით და თანდასწრებით.

მე დავუმტკიცებ მსოფლიო საზოგადოებრიობას, თუ რა ხდება მე-20 საუკუნის ბოლოს ჩემს სამშობლოში, რომელსაც აქვს პრეტენზია ითვლებოდეს ცივილიზებული მსოფლიოს ნაწილად, არის გაერო-ს წევრი 1992 წლიდან, შეერთებულია ჰელსინკის, ვენის და მადრიდის საერთაშორისო პაქტებს, აღიარებს ქაღალდზე ადამიანის უფლებათა დაცვის პრიორიტეტულობას, სინამდვილეში კი მოქმედებს ჯუნგლის კანონებით.

მე გთხოვთ, ნუ დატოვებთ უყურადღებოდ ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევას. გთხოვთ, დამიცვათ ველური ანგარიშსწორებისგან და აბუჩად აგდებისგან.

*პატივისცემით,*

*ნუგზარ მოლოდინაშვილი*

*3.07.1996*

კონსტანტინე გამსახურდია

# ზვიად გამსახურდია

## დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე

(წიგნი იბეჭდება მცირე შემოკლებით და ავტორისეული დამატებებით)




### საქართველო-რუსეთის ურთიერთობებიდან (გაგრძელება)

1801 წლიდან დაიწყო რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია და თუმცა ქვეყნის ცალკეულ კუთხეებში დაუმორჩილებლობა ნახევარი საუკუნე გრძელდებოდა, ზოგიერთი ქართველი მშვენივრად მოერგო ახალ სიტუაციას. ისინი რუსეთში ისე გრძნობდნენ თავს, როგორც საკუთარ სახლში და ხელსაც კი უწყობდნენ რუსეთის იმპერიის გაძლიერებას.

გენერალმა პეტრე ბაგრატიონმა, რომელიც კუტუზოვის შემდეგ რუსეთის არმიის უდიდეს სარდლად და "ბოროდინოს გმირად" იყო აღიარებული, მთელი თავისი ნიჭი და შესაძლებლობები რუსეთის სამხედრო ძლიერებას ამსახურა. რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში განათლებამიღებული ქართველები ისე იქცეოდნენ, როგორც "PLUS RUSSE QUE LES RUSSES" (რუსებზე უფრო მეტი რუსები), ამიტომაც მეფე თავისი პაჟების არჩევისას უპირატესობას ქართველ თავადიშვილებს ანიჭებდა.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობების შემდგომი ეტაპი წითელი მეფის - სტალინის ხელისუფლების პერიოდში განხორციელდა. სახასიათო შტრიხია - სტალინს პასპორტში ეროვნება - ქართველი ეწერა, მშობლიური ენა - რუსული. რუსების ეროვნულ გრძნობას (დღეს, ალბათ, უნდა ვთქვათ რასიზმი) შეურაცხყოფდა, რომ მათ არარუსული წარმომავლობის ადამიანი მართავდა, მაგრამ მისი შიშით, ამის თქმას ვერავინ ბედავდა. სტალინის იდეალი ევრო-აზიური სივრცის მომცველი დიდი რუსეთი წარმოადგენდა. სწორედ ამ იდეალის მისაღწევად წარმართავდა იგი საშინაო და საგარეო პოლიტიკურ მოღვაწეობას. სტალინი საუბარში არასოდეს ახსენებდა "რუს ხალხს", არამედ ყოველთვის იყენებდა გამოთქმას "დიდი რუსი ხალხი". ამით სტალინი პეტრე დიდისა და ივანე მრისხანეს პოლიტიკას აგრძელებდა, რასაც მრავალი რუსი მიესალმებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მის მიმართ პიროვნული ზიზღი ჰქონდათ, რადგან ის ქართველი იყო. სოლჟენიცინიც კი ყოველთვის ხაზს უსვამდა სტალინის "არარუსულ" წარმომავლობას. ის წერდა: "სტალინს იმდენად მოეწონა უბრალო და ბავშურად მიამიტი რუსი ხალხი, რომ თავად სიამოვნებით გახდებოდა რუსი".

ხშირად ამბობდნენ ხოლმე, რომ თითქოს საქართველო პრივილეგიებით სარგებლობდა იმ დროს, როცა იმპერიის დანარჩენი ნაწილი შიმშილობდა. სინამდვილეში კი საქართველომ სხვაზე არანაკლებ იწვნია სტალინის ტირანია, რომლის დამაგვირგვინებელი იყო ხრუშჩოვის გადაწყვეტილება - მთელი ქართველი ხალხი ურალში გადაესახლებინა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფართოდ ხდებოდა კომუნისტური იდეალების დეკლარირება, ერი საკუთარ თვითმყოფად არსს მუდამ იმ პიროვნებებთან აიგივებდა, ვინც დაუმორჩილებელი სულის გამო ვერ ეგუებოდა ძალით თავსმოხვეულ სიყალბეს. ასეთი იყო კონსტანტინე გამსახურდია. სტალინის სიკვდილის შემდეგ ნავსი გატყდა და ის საბოლოოდ აღიარეს საქართველოს უპირველეს ლიტერატორად. ამიერიდან თვით კომუნისტებიც კი პატივისცემით ეპყრობოდნენ. თუმცა, მათთვის კვლავ აუხსნელი რჩებოდა, თუ როგორ გადაურჩა მწერალი სტალინურ ხანას ისე, რომ სერიოზულ კომპრომისზე არ წასულა. ის სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. ხშირად გამოჩნდებოდა ხოლმე თბილისის ქუჩებში შავ ჩოხაში გამოწყობილი - მისთვის დამახასიათებელი არისტოკრატიული იერით.

პირველ მსოფლიო ომამდე კონსტანტინე გამსახურდია ბერლინში სწავლობდა. ომის დაწყების მიუხედავად, მას უფლება მიეცა სწავლა გაეგრძელებინა, რაშიც ხელი შეუწყვეს დიდმა მწერალმა თომას მანმა და ბერლინელმა ისტორიკოსმა ედუარდ მაიერმა.

სამშობლოში გასაბჭოების პერიოდში დაბრუნდა (1921 წ.). პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის დამხობის შემდეგ, მან ლენინს წერილი მისწერა, სადაც საქართველოს გასაბჭოებას ოკუპაციის აქტს უწოდებდა. გამსახურდიამ გააფრთხილა ლენინი, რომ საქართველოს არასოდეს გამოელეოდა თავისი როჯერ კეზმენტები და მაკ-სვინები, რომლებიც მომავალში თავს დადებდნენ სამშობლოს ღირსებისთვის. ამ წერილით ის საფრთხეში აგდებდა თავის სიცოცხლეს. იმჯერად სასჯელი მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ "ნაციონალისტად და რეაქციონერად" გამოაცხადეს.

1924 წლის აჯანყების დროს იგი მეტეხის ციხეში იყო, ვინაიდან საკათალიკოსო საბჭოს წევრებთან ერთად მონაწილეობდა კათალიკოს ამბროსის მიერ გენუის კონფერენციისადმი გაგზავნილი მემორანდუმის შედგენაში. ცხადია, ეს არ გამოჰპარვია ჩეკას. მისივე გადმოცემით, მწერლის საკანი იმავე სართულზე იყო, სადაც პატიმრობაში ჰყავდათ თავად კათალიკოსი ამბროსი, ამ უკანასკნელის თანამოაზრე - კალისტრატე ცინცაძე და უდიდესი პოეტი - გალაკტიონ ტაბიძე.

კონსტანტინე გამსახურდიასთვის აშკა გახდა, რომ აქტიური, მკვეთრად გამოხატული ბრძოლა უპერსპექტივო იყო, ამიტომ მან სხვა გზა - "კულტურის გადარჩენა" აირჩია ბრძოლის ასპარეზად. 1924 წელს იგი "კულტურული საალყო წესების" გამოცხადებას მოითხოვდა. ხოლო მეგობრებს ურჩევდა შინაგანი, სულიერი წინააღმდეგობის გაწევას თავსმოხვეული იდეოლოგიისთვის და ამგვარად საკუთარი პრინციპების დაცვას. იმ დღიდან ის გლოვის ნიშნად ატარებდა შავ ჩოხას.

კონსტანტინე გამსახურდიამ აღადგინა "ქრისტიან მისტიკოსთა საზოგადოება" და საქართველოს მწერალთა კავშირში დააფუძნა "აკადემიური ჯგუფი". თუმცა, ამავე კავშირში "პროლეტკულტურის ჯგუფიც" ფუნქციონირებდა, რომლის წევრებმაც ერთ-ერთ კრებაზე წამოაყენეს წინადადება დარბაზიდან ილია ჭავჭავაძის სურათის გატანის თაობაზე. მაშინ გამსახურდია წამოდგა, მიკიდა სურათთან და მის წინ დადგა. როგორც ყოველთვის, მას ქამარხანჯლით გაწყობილი ჩოხა ეცვა. ყველასთვის აშკარა გახდა, სურათი ადგილზე უნდა დარჩენილიყო, ხოლო ვინც სურათთან მიკარებას გაბედავდა, თავნებობა ძვირად დაუჯდებოდა. ასე, უხმოდ, იარაღით ხელში იდგა მწერალი კრების დამთავრებამდე. შემდგომში სურათზე აღარასოდეს ყოფილა საუბარი.

1926 წელს კონსტანტინე გამსახურდია კვლავ დააპატიმრეს. ამჯერად საბაბად დაიდეს მისი კარგი ურთიერთობა თბილისში არსებულ გერმანიის საკონსულოსთან. მას ბრალად ედებოდა შპიონაჟი, რის გამოც სამი წლით გადაასახლეს სოლოვკის არქიპელაგზე, თეთრ ზღვაში. თუმცა, ვერც ამჯერად შეძლეს მისი გატეხვა. მწერლის ცხოვრებისეული კრედო არ შეცვლილა.

ომის შემდგომ პერიოდში თბილისს მოსკოვიდან მაღალი რანგის დელეგაცია ესტუმრა. დელეგაციის წევრები კონსტანტინე გამსახურდიასაც უნდა შეხვედროდნენ. მწერალი მოვიდა შეხვედრაზე და მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად ლაპარაკობდა რუსულად, თარჯიმანი მოითხოვა. როცა მას ჰკითხეს, თუ რისთვის სჭირდებოდა თარჯიმანი, მწერალმა განმარტა: "როცა ბერლინში ვიყავი, გერმანულად ვლაპარაკობდი, პარიზში ყოფნისას - ფრანგულად, ხოლო ლონდონში -ინგლისურად. მინდა პატივცემული ბატონები მივახვედრო, რომ თბილისში ჩამოსვლამდე ცოტაოდენი ქართული ისწავლონ".

კონსტანტინე გამსახურდია სტალინურ რეპრესიებს გადაურჩა იმით, რომ ბრწყინვალედ ფლობდა მოჩვენებითი უკან დახევისა და კვლავ შეტევის ხელოვნებას. მასთან ბრძოლაში - ქვა გატყორცნილი გულმართლისა მიმართ უკანვე უბრუნდებოდათ გამტყორცნელთ. ასე დაემართათ "რაპპელებს", პლატონ ქიქოძეს, მოგვიანებით გოლცევს, ანტონოვსკაიას და სხვებს. გარდა ამისა, მას არასოდეს (და არავისთან) გაულანძღავს პირადად სტალინი. როდესაც ა. მგელაძემ იგი სტალინთან დაასმინა, როგორც "ფაშისტი" და მოითხოვა მისი დაპატიმრება, ამ უკანასკნელმა მიუგო: "გამსახურდიას ქორ-მეძებრებით თავი ნუ მომაბეზრეთო".

კონსტანტინე გამსახურდიას პროზას იცნობდნენ უცხოეთში. 50-იან წლებში "დიდოსტატის მარჯვენა" ფრანგულად ითარგმნა. ეს რომანი წაიკითხა თვით შარლ დე გოლმა და საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა მას, რასაც თავის დღიურებში აღნიშნავდა. მოგვიანებით, 1971 წელს წიგნი გერმანულ ენაზეც დაისტამბა.

1972 წელს ედუარდ შევარდნაძე გახდა საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი. გამსახურდიას თანადგომა პრესტიჟული იყო და ის თავაზიანი ვიზიტით ეწვია მწერალს კოლხურ კოშკში. შევარდნაძე სუფრასთან მიიწვიეს. ოჯახის უფროსის გვერდით ისხდნენ მისი ვაჟიშვილი (ზვიადი) და შვილიშვილი (ამ წიგნის ავტორი). მასპინძელმა სუფრა მხიარული განწყობილებით წარმართა და, ასევე იუმორის ფორმით, თავისი სათქმელი უთხრა სტუმარს. [illegible] მან აღნიშნა, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელის პირფერობამ და მაამებლურმა დამოკიდებულებამ რუს ხელისუფალთა მიმართ, ისინი მორალურ დაცემამდე მიიყვანა, რამაც უარყოფითად იმოქმედა მთელ ქართველ ერზე. მწერალი ურჩევდა შევარდნაძეს, როგორც ახალ ხელმძღვანელს, შეძლებისდაგვარად, თავი შეეკავებინა ამგვარი ქმედებისგან. სტუმარი მწერალს არ შეჰკამათებია, რადგან მას კარგად ესმოდა ამ გაფრთხილების მნიშვნელობა. ისიც იცოდა, რომ ეს მრავალი ქართველის სურვილი იყო. სამწუხაროდ, ამ ვიზიტს ხელი არ შეუშლია შევარდნაძისთვის, თავისებურად განეგრძო მგელაძეებისა და კოჭლავაშვილების პოლიტიკა: სტუმრობიდან ორი დღეც არ გასულა, რომ ზვიად გამსახურდია სუკ-ში დაიბარეს და დაკითხვა მოუწყვეს.

სამი წლის შემდეგ შევარდნაძე თავად გახდა კონსტანტინე გამსახურდიას პოპულარობის მოწმე, როცა ქართველმა ხალხმა უკანასკნელი პატივი მიაგო მწერალს. ლენინის მოედანი და რუსთაველის პროსპექტი მგლოვიარეებით იყო სავსე. სუკ-ის აკრძალვის მიუხედავად, ეკლესიის უცნობმა მსახურმა ქაშუეთის ზარები აახმიანა. რამოდენიმე ახალგაზრდა დაწინაურდა. მათ მანქანიდან გადმოასვენეს კუბო და, ძველი ტრადიციისამებრ, მხრებით მიიტანეს კოლხური კოშკის ბაღში, საფლავამდე.

შევარდნაძისთვის ყოველთვის ყველაფერზე მაღლა საკუთარი კარიერა იდგა. როგორც პროვინციის ხელმძღვანელთა უმრავლესობა, ისიც კრემლის პოლიტბიუროს წევრობაზე ოცნებობდა. ამიტომ არ იყო გასაკვირი, რომ მან ერთი წლის შემდეგ, ლეონიდ ბრეჟნევის გულის მოსაგებად, სამარცხვინო სიტყვები წარმოთქვა: "საქართველოს მზე ჩრდილოეთიდან ამოდის, მზე ლენინის იდეებისა". ხოლო როცა ბრეჟნევი თბილისს ეწვია, ისეთი ზეიმი მოაწყო, რომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რეპროდუქტორები ყოველ კუთხეში ბრეჟნევის საქებარ სიტყვებს გაჰკიოდნენ. შევარდნაძემ ასეთი გრანდიოზული ზეიმით აღნიშნა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლისთავი.

ედუარდ შევარდნაძე არც იმის შემდეგ შეცვლილა, რაც სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. ის იყო და დარჩა რუსეთის იმპერიალიზმის მსახურად და თვით საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდგომაც ამ იდეას ემსახურებოდა.

გერმანულიდან თარგმნა
თამარ იაშვილმა

(გაგრძელება იქნება)

---

## TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

## № 25 (in brief)

## 9 - 15 July 1996

### SOS! The Life of Khvicha Jokhadze is Endangered

As it became known to us, the life of the convict of the so-called Kvareli case Khvicha Jokhadze is under serious threat. The political prisoner who is suffering from the acute bilateral TB is presently in Ksany Colony his health state being critical. He was transferred to the colony from the Republican Prison Hospital. He has reached the extreme stage of the disease: on coughing he is excreting purulent sputum. After examining his X-ray images the independent physicians could not hide their surprise of his being still alive. They believe that the patient who is in the extreme stage of his illness should be immediately hospitalized and subjected to urgent surgical intervention, after which he should be released and subjected to special medical treatment since the patient with such sever form of TB cannot endure the conditions of forcible isolation.

Georgian Society is Against the Death Penalty

Broad campaign against the death penalty in Georgia leaded by the well-known humanists, writers poets, scientists public and non-governmental organizations, individual members of IGFM, human rights defenders, journalists as well as the members of the Supreme Council of the Republic of Georgia has started in Georgia exiled in 1992, opposition political parties has started in Georgia.

It is noteworthy that several months ago the President of All - Georgia Human Rights Association Mr. Giorgi Mkervalishvili began a hunger-strike demanding to abolish death penalty in Georgia. This hunger strike subsequently grew into the permanent 100 day hunger-strike in which apart from the members of the association were participating the human rights defenders, lawyers of the political prisoners, the citizens of Georgia.

Against the antihuman death penalty norm raised there voices the political prisoners themselves: more than 500 political prisoners kept in Tbilisi prisons and investigation isolators the majority of which are not under the threat of the death penalty appealed to the society and international organizations with request to demand the abolishment of this extreme penalty in accordance with universally recognized international norms. The following people enjoying high authority, love and respect in Georgia are against the death penalty: **Mrs. Olga Demuria-Kostava**, the mother of the well-known dissident Merab Kostava, a well-known poet **Mr. Mukhran Machavariani**, the writer **Mr. Nodar Tsuleiskiri**, the sculptor, Chairman of the Artists Union **Mr. Giorgi Ochiauri**, Professor **Zurab Tabidze**, former dissident, the member of Helsinki Group since 1976, the member of the Supreme Council **Mr. Teimuraz Janelidze**, the artist **Mr.Irakli Ochiauri**, Academician **Vakhtang Bochorishvili**, Professor **Giorgi Mrevlishvili**, Professor **Tamaz Kaladze**, the philologist, publisher **Mrs. Marika Abaishvili**, the University teacher **Mrs. Darejan Siria**, Professor **Nodar Ugrelidze**, editor-in-chief of the Tavisupali Sakartvelo newspaper **Mrs. Tamar Ebralidze**, Professor **Zurab Dzotsenidze**, Professor **Alexandre Koreli** It is noteworthy that this demand was followed by the response from the representative of the ruling political elite of Georgia.

Thus the poet Rezo Amashukeli who is deputy Chairman of the Citizens Union of Georgia or in other words the deputy Chairman of Edard Shevardnadze, and is occupying the post of Vice-Minister of Culture in the present day government in his TV-interview strongly condemned the opponents of death penalty. In contrast he called to the further aggravation of the punishment.

This statement caused general indignation. Even circles and press loyal to the present day authorities, namely the Kavkasioni newspaper expressed their concern about the inhuman position of the poet.

The society of Georgia which is against the death penalty institution stresses that in Georgia where the civil and political human rights are roughly abused, where in the course of preliminary investigation and Court Hearing the defenders rights are restricted, and they are subjected to violence, physical and psychological tortures, and the Court Authorities are not free from the dictate of the authorities, the death penalty has the nature of the purposeful murder and settling squares with the undesirable persons and political opponents.

### I ask you to defend me from the wild settling scores and humiliation.

The Secretary General of the UN

To the Parliaments of the World Countries,To all Embassies Accredited in georgai, To the World Society6

#### Appeal

Ladies and gentlemen,

It is already 6 months since I am suffering from the rough political settling squares with me. I was arrested on May, 1995 under absolutely ungrounded charge: I was accused in High Treason (Article 65 of the Criminal Code of Georgia) and in armed bandit actions (Article 78 of the Criminal Code of Georgia).

I have not recognized myself guilty in committing the crimes charged against me; at the same time I did not refuse to participate in the preliminary investigation; however no preliminary investigation has ever been carried out; the prosecution did not arranged confrontation with any witnesses of prosecution.

On February 1, 1996 the Court Hearing started. Irrespective of the fact that I do not recognize this Supreme Court authorized to trial me, I nevertheless did not refuse to participate in the Court Hearing. For 4 months I was enduring terrible humiliation and yet continued patiently refute the ungrounded arguments of the Prosecution. But even my patience had its limits. On May 21, 1996 I could not any more stand permanent, brazen impudence of the judge Aladashvili and fell for his intentionally arranged provocation, as a result of which I was removed from the Court Hearing.

Irrespective of this I still hoped that my public defender and fiscal lawyer will defend my rights. But my hope turned out to be vain. On May 30 from the Court hearing was removed my public defender, the individual member of IGFM, Mrs. Lia Beruashvili; later due to the aggravation of health state of my lawyer I was left without any defense at all. Now they are trying to appoint a new lawyer to me who is supposed to be mechanically included in the Court Hearing process which is nearly at its half way to completion all this being complete ignoring of the laws of logic - this lawyer has never heard my testimonies, he has not heard the Prosecution nor the witnesses.

My Case should be isolated as a separate Case and the new Court Hearing should be appointed so that the lawyer can join the trial from its very beginning.

I am not avoiding responsibility. I am ready to answer the questions and expose the inspirers of the ungrounded charged brought against me, since I do claim that there is a totalitarian dictatorship in Georgia and the independent Court is the obedient executor of the dictators will.

I am demanding that my Court Hearing to be carried out in the presence and with the participation of the international observers.

I will prove the world society what is going on at the end of XX century in my motherland Georgia which claims to be considered as a part of the civilized world, joined Helsinki, Vienna and Madrid International Pacts, recognizes on paper the priority of human rights while in reality is acting following the jungle laws.

I appeal to you with request not to ignore the rough abuse of human rights. I ask you to defend me from the wild settling scores and humiliation.

With Respect,

*Nugzar Molodinashvili*

July 3, 1996

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia